Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№24, ივნისი, 2023

მეეზოვეობის, როგორც პროფესიის, ფენომენის აღქმა თბილისსა და ქუთაისში მცხოვრები მეეზოვეების მაგალითზე

მელანო ბერიძე

სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: melanoberidze2000@gmail.com

აბსტრაქტი

საზოგადოებრივი ქუჩების დაგვა და დასუფთავება პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს სუფთა, უსაფრთხო და ნარჩენებისგან თავისუფალი გარემოს შექმნას. როგორც წესი, მას მუნიციპალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ის ორგანოები ახორციელებენ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საზოგადოებრივი სივრცეების სისუფთავის შენარჩუნებაზე. ქუჩების დასუფთავების ღონისძიებები თითოეული მუნიციპალიტეტის სპეციფიკური საჭიროებებისა და რეგულაციების მიხედვით განსხვავდება, მაგრამ ისინი ხშირად რამდენიმე მსგავსი ამოცანის შესრულებას მოიცავს. მათ შორის აღსანიშნავია: ქუჩების დალაგება, დასუფთავება; გრაფიტის მოცილება; სანიაღვრე სისტემის გაწმენდა; ქუჩების მორეცხვა; მეეზოვეების მიერ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და სპეციალურად გამოყოფილ ადგილას მოთავსება, რომელიც ხელს უწყობს საერთო სისუფთავისა და იერსახის შენარჩუნებას. ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების უდიდესი ნაწილის შესრულება ადამიანური რესურსის გამოყენებას საჭიროებს. სწორედ ასეთ ადამიანურ ძალას წარმოადგენენ მეეზოვეები, რომელთა როლიც ამ საქმიანობის შესრულების პროცესში უდიდესია. ვინაიდან, ქუჩების დასუფთავება გადამწყვეტ როლს ასრულებს სუფთა და ვიზუალურად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნებაში და ასევე ხელს უწყობს ჯანმრთელობის უსაფრთხოებას, მნიშვნელოვანია ამ საქმიანობაში ჩართული ერთ-ერთი მთავარი აქტორების-მეეზოვეების დამოკიდებულებების და შეხედულებების გაგება თავიანთი საქმიანობის შესახებ.

წინამდებარე სტატია აანალიზებს საქართველოს ორ რეგიონში, თბილისსა და ქუთაისში მცხოვრები მეეზოვეების აღქმებსა და დამოკიდებულებებს თავიანთი საქმიანობის მიმართ.

სტატიის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა ფენომენოლოგიური მიდგომა, რომელიც ხსნის იმას, თუ როგორ აღიქვამს კონკრეტული სოციალური ჯგუფი, კონკრეტულ ფენომენს და რა შინაარსს დებს მასში. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას, კონკრეტულად, სიღრმისეული ინტერვიუირების მეთოდს. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები მიზნობრივად შეირჩნენ თბილისსა და ქუთაისიდან, რათა საქართველოს ორ დიდ ქალაქში მეეზოვეთა რაოდენობის გათვალისწინებით, მათი აღქმები და დამოკიდებულებები ყოფილიყო შესწავლილი და გაანალიზებული.

ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ მეეზოვეობის, როგორც პროფესიის მიმართ, მეეზოვეებს აქვთ განსხვავებული დამოკიდებულებები, რაც განპირობებულია მეეზოვედ მუშაობის მიზეზებთან. კვლევიდან იკვეთება, რომ მეეზოვედ მუშაობის მიზეზები განაპირობებს მეეზოვეობის ფენომენთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებულ შეხედულებებს. უფრო კონკრეტულად, იმ რესპონდენტებისთვის, ვისთვისაც მეეზოვედ მუშაობა ფინანსური სარგებლის მიღების წყაროდ ითვლება, მათთვის მეეზოვეობის ფენომენი სწორედ იმ საქმიანობად აღიქმება, რაშიც მათ ფულს უხდიან, თუმცა იმ რესპონდენტებისთვის, ვისთვისაც მეეზოვედ მუშაობა სამოქალაქო პასუხისმგებლობადაც ითვლება, მათთვის მეეზოვეობის ფენომენი უფრო მეტია, ვიდრე პროფესია.

საკვანძო სიტყვები: მეეზოვეობა, ფენომენოლოგია, მყარი ნარჩენები, მუნიციპალიტეტი

შესავალი

საქართველოში მეეზოვეთა საქმიანობას დასუფთავების სამსახური ზედამხედველობს. მეეზოვეები სპეციალურად მათთვის გამოყოფილი ფორმების, ტექნიკის გამოყენებით უზრუნველყოფენ ქალაქის სისუფთავეს. აღსანიშნავია, რომ მეეზოვის, როგორც პროფესიის აღქმა, ქართულ რეალობაში, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთისთვის ეს სათაკილო საქმიანობაა, ხოლო ზოგისთვის პირიქით-საამაყოც კი. საინტერესოა, როგორ ესმით და რა ძირითად შინაარსს დებენ თავად მეეზოვეები საკუთარ საქმიანობაში. საკითხს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ისიც, რომ მეეზოვეობის, როგორც პროფესიის, მიმართ მეეზოვეთა თვითაღქმა მეცნიერულად არაა შესწავლილი, გარდა ერთ-ერთი საფუძვლიანი დაშვებისა, რომ მეეზოვეები თავიანთ საქმიანობას, ხშირ შემთხვევაში, ფინანსური მდგომარეობის გამო უნდა ასრულებდნენ, რაზეც მათ ისტორიებზე მომზადებული სიუჟეტები მეტყველებს, (ajaratv,2023), კვლევა ძირითადად ორიენტირებული იყო მეეზოვეობის, როგორც ფენომენის შესწავლაზე- რა ძირითად ემოციებს, შინაარსს და დამოკიდებულებებს დებენ მეეზოვეები თავიანთ საქმიანობაში, გარდა იმისა, რომ ისინი ამას ფინანსური სარგებლის მიღებისთვის აკეთებენ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა მეეზოვეობის, როგორც პროფესიის და მისი ფენომენის სიღრმისეული შესწავლა მეეზოვეთა თვითაღქმის მაგალითზე, რაზეც ქართულ რეალობაში სამეცნიერო ნაშრომების ნაკლებობაა. ხშირია ქართული მედიასაშუალებების მიერ მომზადებული სიუჟეტები მეეზოვეთა საქმიანობის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევების, საპროტესტო აქციების და მათ შორის მათი გმირული ქმედებების შესახებაც. (თუ გავიხსენებთ რამდენიმე თვის წინ, ერთ-ერთი მეეზოვის- დევი მეზურნიშვილის ქმედებას, რომელიც წყალში ჩავარდნილი ბავშვების დასახმარებლად შადრევანში ჩავიდა (formulanews, 2022)), თუმცა, გარდა საქართველოში მოქმედი მედიასაშუალებების მიერ მომზადებული სიუჟეტებისა, ჩვენ ნაკლებად, ან საერთოდ ვერ ვხვდებით სამეცნიერო სტატიებს, მომზადებულს მეეზოვეთა საქმიანობის აღქმის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ ქართულ რეალობაში. განსხვავებით ქართული რეალობისა, ხშირია უცხოური ლიტერატურა აღნიშნული პროფესიის მქონე ადამიანთა შესახებ, რომელიც ძირითადად ეხება მეეზოვეთა მოტივების, მათ წინაშე მდგარი გამოწვევების კვლევას.

ქართულ რეალობაში აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად შეუსწავლელობის გამო, გადავწყვიტე მეკვლია თბილისსა და ქუთაისში მცხოვრები მეეზოვეთა აღქმები, დამოკიდებულებები აღნიშნული საქმიანობის მიმართ- როგორ აფასებენ ისინი მეეზოვეობას, რასთან ასოცირდება მათთვის ის საქმე, რაშიც ხელფასს იღებენ და როგორია მათი ერთი სამუშაო დღე.

ლიტერატურის მიმოხილვა

აღსანიშნავია, რომ პროფესიის, როგორც ფენომენის, გაგება საკმაოდ კომპლექსურია. როდესაც ადამიანები საუბრობენ კარიერასა და პროფესიაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც ჩანს, მათ აქვთ საერთო შეთანხმება იმის შესახებ, თუ რა არის იგი. ყველამ იცის, რა არის პროფესია და კარიერა (კოლინი, 2007). ეს განცხადება იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანებში არსებობს გარკვეული სახის ყოველდღიური ცოდნა, რომელიც მართავს ადამიანის აზრებს ამ ფენომენებზე. მიუხედავად ამისა, პროფესიას და მის განგრძობით პროცესს- კარიერას, ასევე აქვს მრავალი მნიშვნელობა, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი განსხვავებულად არიან გაგებული სხვადასხვა დისციპლინასა და ინსტიტუციურ გარემოში სხვადასხვა მკვლევარს შორის (კოლინი, 2007; კიდი, 2006). აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესიაზე, როგორც თვითრეალიზაციის საშუალებაზე, ხედვა ჰუმანისტურია. იგი განიხილება როგორც ინდივიდუალური ცხოვრების სტრუქტურის კომპონენტი, რომელიც ხედავს პროგნოზირებად გადასვლებს. მაგალითად, სოციალური ფსიქოლოგია მას განიხილავს, როგორც ინდივიდუალურ პასუხს გარე როლის შეტყობინებებზე. სოციოლოგია კი კარიერასა და პროფესიას განიხილავს, როგორც სოციალური როლების განვითარებას სოციალურ წესრიგში, ან როგორც სოციალურ მობილურობას, სადაც ტიტულები მიუთითებენ ადამიანების სოციალურ პოზიციებზე. ეკონომიკური პერსპექტივა აღნიშნულ ფენომენს განიხილავს, როგორც პასუხს საბაზრო ძალებზე; პოლიტიკური მეცნიერება ყურადღებას ამახვილებს პროფესიაზე, როგორც პირადი ინტერესის ამოქმედებაზე; ისტორია კარიერას განიხილავს, როგორც ისტორიული შედეგების კორელაციას; (arthur, hall, & lawrence, 1989b). ამრიგად, კარიერის გაგება და განმარტებები განსხვავდება სხვადასხვა პერსპექტივასა და დისციპლინას შორის. ამასთან, მრავალი მნიშვნელობა სხვადასხვა მიზნისთვის გამოიყენება ადამიანთა განსხვავებულ ჯგუფში, დისციპლინასა და პერსპექტივაში (იხ. მაგ., arthur et al., 1989; collin , 2007; patton & mcmahon, 2006). ეს მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს როგორც კონსენსუსი, ასევე კონფლიქტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული პროფესიის ფენომენი. ერთის მხრივ, როგორც ჩანს, ადამიანებს აქვთ საერთო გაგება ფენომენის შესახებ, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ ყალიბდება ყოველდღიური ცოდნა სოციალურად საერთო აზროვნების გზებად, კომუნიკაციის სხვადასხვა სიმბოლოებთან და კოდებთან ერთად, გარკვეულ ადამიანებში კონტექსტის გათვალისწინებით.ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა მეეზოვეობის, როგორც პროფესიის და მისი ფენომენის სიღრმისეული შესწავლა მეეზოვეთა თვითაღქმის მაგალითზე, რაზეც ქართულ რეალობაში სამეცნიერო ნაშრომების ნაკლებობაა.

ქუჩების დამლაგებლების (მეეზოვეების) პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს, ჯანმრთელობის საშიშროების არსებობისა და ამ საკითხის აქტუალობის, მეეზოვეთა საქმიანობით კმაყოფილებისა და მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურა ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის.

ეკატერინა მარკოვა (2012), თავის ერთ-ერთ სტატიაში-*,, ვინ წმენდს ქუჩას? რატომ არიან ბულგარელი მეეზოვეები დაუცველები და დასაქმების პრივილეგიებისგან გამოყოფილები?"*-აღწერს მეეზოვეობის ფენომენს, ბულგარელი მეეზოვეების მაგალითზე. ის, თავის ნაშრომში, სამი ცვლადის (დაბალანაზღაურებადი სამუშაო, დაბალი სოციალური სტატუსი და შედარებით მაღალი სამუშაო კმაყოფილება) კავშირის საფუძველზე ასკვნის, რომ ქუჩების წმენდა დაბალანაზღაურებადი სამუშაოა, რომელსაც დაბალი სოციალური სტატუსის (ბულგარეთში, ძირითადად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბოშები)ადამიანები ასრულებენ, თუმცა, ამის მიუხედავად, მათი სამუშაოსადმი კმაყოფილება შედარებით მაღალია. მკვლევარი, ნაშრომში ამის ძირითად მიზეზად ასახელებს რეალური ალტერნატივების არარსებობას ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. შეზღუდული შესაძლებლობების, დაბალი განათლების დონისა და გაჭირვების გამო, ბულგარეთში, ძირითადად, დაბალი სოციალური სტატუსის და განათლების მქონე ქალების დასაქმება, ნარჩენების შეგროვების სექტორში, მათთვის გამოსავლის პოვნად ითვლება. მარკოვმა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით გამოკითხა 5 მეეზოვე, რომლებიც თავიანთი სამუშაოსადმი კმაყოფილებას სხვადასხვა ფაქტორით ხსნიდნენ. მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სტატუსური სამუშაოები ყოველთვის არ არის დაკავშირებული სამუშაოთი კმაყოფილების დაბალ დონესთან. რეალური სამუშაო პირობები სამუშაო კმაყოფილების ერთ-ერთ ნაწილს ქმნის. მეორე ნაწილს კი ქმნის დასაქმებულთა სუბიექტური, ინდივიდუალური აღქმები. სწორედ აქ ვაწყდებით ,,კმაყოფილების პარადოქსს", (რატომ აჩვენებენ მეეზოვეები შედარებით მაღალ სამუშაო კმაყოფილებას, როდესაც მათი შემოსავალი დაბალია, ხოლო საზოგადოება ცუდად განწყობილი), რაც მეეზოვეთა სუბიექტური აღქმებითაა ნაკარნახევი. (ტომოვა, 1998; osi ანგარიში, 2008).

მეეზოვეები არიან ადამიანები, რომლებიც დაკავებულნი არიან საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებით, განსაკუთრებით, ურბანიზებული ქალაქების ტერიტორიაზე. მეეზოვეთა ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ გლენი და ვიქტორია, (glenne b. lagura, victoria o, 2018) გვიყვება, რომლებმაც დავოოს რეგიონში (ფილიპინები), ფენომენოლოგიური კვლევის საფუძველზე, შეისწავლეს აქ მცხოვრები მეეზოვეების შეხედულებები თავიანთი საქმიანობის მიმართ. ამ ფენომენოლოგიური წამოწყების მიზანი იმ მეეზოვეთა ცხოვრებისეული რეალობების აღწერა იყო, რომლებიც ქალაქის ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებში (clgus) მუშაობდნენ. მონაცემთა შეგროვებისას გამოყენებული იქნა სიღრმისეული ინტერვიუ (idi) და ფოკუს ჯგუფის მეთოდები. საკვლევი კითხვები ფორმულირებული იყო შემდეგნაირად:

- როგორია ქუჩების დამსუფთავებლების ცხოვრებისეული გამოცდილება დავაოს რეგიონის ქალაქებში?
- როგორ უმკლავდებიან ისინი მათ ყოველდღიურ გამოწვევებს?

კვლევის შედეგად გამოვლინდა:

- კვლევის პროცესში, სიღრმისეული ინტერვიუს გზით, გამოკითხული 12 მეეზოვე ყურადღებას ამახვილებდა სამუშაო პროცესში უსაფრთხოების ზომების არაარსებობასა და ამ კუთხით წარმოქმნილ საფრთხეებზე. უფრო კონკრეტულად, ხშირი იყო დაავადებათა ზრდის შემთხვევები, რომელიც პირდაპირ იყო დაკავშირებული ნარჩენებთან უშუალო კონტაქტით გამოწვეულ გართულებებთან და ინფექციებთან. ასევე, კვლევაში გამოვლინდა მეეზოვეთა ავტოკატასტროფის შედეგად გარდაცვალების მაგალითები, რომელსაც თან ახლდა მიზერული კომპენსაცია და არარსებული სარგებელი;
- მეეზოვეების მიერ ჯანმრთელობისთვის სარისკო საქმიანობის შესრულების მიუხედავად, კვლევაში იკვეთება, რომ საზოგადოების მხრიდან არ იგრძნობა დაფასება და მათი საქმიანობის პატივისცემა. სწორედ ამიტომ, კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს, სურდათ საზოგადოებისგან აღიარება, პატივისცემა და მოქალაქეთა შორის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კულტივირება;
- მიუხედავად დავოოს რეგიონში მცხოვრები მეეზოვეების წინაშე არსებული გამოწვევებისა, დაბალი ანაზღაურებისა და მათი საქმიანობის შესასრულებლად გაწეული რისკებისა, აქ მცხოვრებ მეეზოვეებს უყვართ თავიანთი სამუშაო. ისინი ამაყობენ თავიანთი საქმიანობით. მეტიც, საზოგადოების მიერ მათ მიმართ დამამცირებელი მოპყრობა, არ წარმოადგენს მათთვის დაბრკოლებას ცხოვრებისეული კმაყოფილების მისაღწევად. ერთადერთი რამ, რაც მათ აბრკოლებთ თავიანთი საქმიანობის უფრო წარმატებით შესრულებაში, არის არასათანადო სამუშაო აღჭურვილობა.

აღნიშნულ კვლევაში, მკვლევრები რესპონდენტების შეხედულებების საფუძველზე, სიღრმისეულად აღწერენ მეეზოვეთა საქმიანობის ფენომენს. წინამდებარე კვლევა კი ფოკუსირებული იქნება სწორედ მსგავსი მიდგომის გამოყენებით, მსგავსი ან მისგან განსხვავებული მიგნებების იდენტიფიცირებაზე.

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევრები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მეეზოვეთა დამოკიდებულება მათი სამუშაოს მიმართ შეიძლება განსხვავდებოდეს ინდივიდუალური შეხედულებებისა და გამოცდილების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია განზოგადდეს ყველა ქუჩის დამლაგებლის დამოკიდებულებები, იკვეთება რამდენიმე საერთო დამოკიდებულება/შეხედულება, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მათ საქმიანობასთან. რობესი (2016), თავის ერთ-ერთ სტატიაში ყურადღებას ამახვილებს აღნიშნულ საკითხზე და გამოყოფს რამდენიმე დამოკიდებულებას, რაც მეეზოვეებს თავიანთი სამუშაოს მიმართ აქვთ. რობესიმ, თვისებრივი კვლევის მონაცემთა შეგროვების ერთ-ერთი მეთოდის, სიღმისეული ინტერვიუს გამოყენებით მეეზოვეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, გამოკვეთა მეეზოვეობის მიმართ რამდენიმე საერთო შეხედულება. მათ შორის აღსანიშნავია რამდენიმე:

- ქუჩების სისუფთავით სიამაყე- ბევრი ქუჩის დამლაგებელი ამაყობს თავისი როლით, რადგან ისინი ხელს უწყობენ სუფთა და მოწესრიგებული საჯარო სივრცეების შენარჩუნებას. მათ ესმით მათი

მუშაობის მნიშვნელობა მოქალაქეებისთვის, ბიზნესისა და ვიზიტორებისთვის სასიამოვნო გარემოს შესაქმნელად;

- სერვისი საზოგადოებისთვის- ქუჩის დამლაგებლებს ხშირად აქვთ თავიანთი საზოგადოების მომსახურების ძლიერი გრძნობა. მათ ესმით, რომ მათი მუშაობა ხელს უწყობს სამეზობლოს საერთო კეთილდღეობას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობას.ეს შეხედულება უფრო მეტად კოლექტიური ერთიანობის შეგრძნებებზე ამახვილებს ყურადღებას;
- გარემოსადმი პატივისცემა- კვლევაში მონაწილე ქუჩების დამლაგებლების ნაწილი ძალიან აფასებს გარემოს დაცვას. ისინი თავიანთ სამუშაოს ხედავენ, როგორც შესაძლებლობას, შეინარჩუნონ ქუჩებში სისუფთავე, თავიდან აიცილონ ნარჩენები ბუნებრივი ჰაბიტატების დაბინძურებისგან და წვლილი შეიტანონ უფრო მდგრადი და ეკოლოგიურად მეგობრული საზოგადოების შექმნაში.
- რთული სამუშაო პირობები- ქუჩების დასუფთავება შეიძლება იყოს ფიზიკურად მძიმე და მეეზოვეების წინაშე შეიძლება დადგეს სხვადასხვა გამოწვევა, როგორიცაა, არასასურველი ამინდი, მძიმე აღჭურვილობით მუშაობა და პოტენციურად სახიფათო ნარჩენებთან გამკლავება. ზოგიერთი მეეზოვისთვის ეს ასპექტები რთული გადასალახია, ზოგი კი მათ სამუშაოს ნაწილად მიიჩნევს.

სამეცნიერო ლიტერატურა ინტერესდება მეეზოვეთა საქმიანობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებების გაგებითაც. გარკვეულ საზოგადოებებში ქუჩების დასუფთავება ითვლება დამამცირებელ სამუშაოდ, რადგან ის გულისხმობს სიბინძურეს და ნარჩენებს, რომლებიც, როგორც წესი, ხალხის მიერაა წარმოებული. საბდე და ზოდპეი (2008) აღნიშნავენ, რომ ინდოეთში, ქვეყნის ტრადიციულმა კულტურამ, ქუჩის დამლაგებელთა სტიგმატიზაცია მოახდინა. ინდოეთის კასტურ სისტემაში, ქუჩის დამლაგებლები კატეგორიზებული იყო ინდური საზოგადოების ყველაზე დაბალი რანგის ქვეშ - დალიტები (ვებერი, 2007). ამდენად, ქუჩის დამლაგებლები ქვეყნის სამუშაო ძალის ერთ-ერთი ყველაზე უგულებელყოფილი სექტორის წარმომადგენლებად ითვლებიან. ღია სივრცის ინსტიტუტის წლიურ ანგარიშში (2008) აღნიშულია, რომ მოქალაქეები, როგორც წესი, არ აფასებენ იმათ ძალისხმევას, ვინც ხელით წმენდს ქუჩებს. ბევრისთვის უცნობია, რომ მეეზოვეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩვენს საზოგადოებაში. ქუჩებიდან ნამსხვრევების ამოღება, მყარი ნარჩენების შეგროვება, ნარჩენების მასალის გადაყრა და გადამუშავება იმ აქტივობების არასრული ჩამონათვალია, რომელსაც ქუჩის დამლაგებლები დილიდან ასრულებენ. საბდემ და ზოდპეიმ ყურადღება გაამახვილეს ასევე ქუჩის დამლაგებელთა როლზე, როგორც ძალიან მნიშვნელოვანზე. ისინი აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებით დიდი ქალაქებისთვის, უმნიშვნელოვანესია მეეზოვეთა საქმიანობა, რადგან მათ გარეშე ჩვენი საზოგადოება შეიძლება გახდეს საწამლავის, სიკვდილის, ფიზიკური და მორალური ბარბაროსობის მსხვერპლი.

ამდენად, მიმდინარე კვლევის მნიშვნელოვნება იმ ასპექტში ჩანს, რომ საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კონკრეტული პროფესიის მქონე ადამიანთა დამოკიდებულებებისა და შეხედულებების კვლევა სიღრმისეულად არ მომხდარა. მიმდინარე კვლევა ცდილობს დაამატოს და შეავსოს ამ მიმართულებით არსებული ცოდნა საქართველოში მცხოვრები მეეზოვეების შეხედულებების მაგალითზე. გარდა ამისა, კვლევა შეეცდება ახსნას საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულებების და მოსაზრებების მიზეზები მეეზოვეთა პროფესიის, როგორც საჯარო პოლიტიკის საკითხის, მიმართ.

მეთოდოლოგია

კვლევა ახდენს მეეზოვეობის, როგორც ფენომენის სიღრმისეულ შესწავლას მეეზოვეთა თვითაღქმის მაგალითზე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა შემესწავლა, რას ნიშნავდა მეეზოვედ ყოფნა მეეზოვის პერსპექტივიდან- მეეზოვის პერსპექტივიდან დანახული მეეზოვეობის ფენომენი. აღნიშნული თემით დაინტერესების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა საქართველოში სამეცნიერო ლიტერატურის არარსებობა ამ თემაზე და ჩვენს საზოგადოებაში განსხვავებული დამოკიდებულებები მეეზოვეთა საქმიანობის მიმართ. კვლევის მიზნის მისაღწევად, დასახულ იქნა კვლევის ამოცანები:

- კვლევის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, პასუხი გაეცა კითხვას- რას ნიშნავს იყო მეეზოვე;
- შესწავლილიყო, ის ძირითადი ინდიკატორები, რომლებიც მეეზოვეთა თვითაღქმაში განსხვავებულად ან მსგავსად წარმოადგენს და ხსნის მეეზოვეობის ფენომენს;

კვლევის კითხვიდან გამომდინარე, მსურდა დამედგინა როგორია თბილისში მცხოვრები მეეზოვეებისთვის მათი საქმიანობის აღქმა და რას ნიშნავს მათთვის ასრულებდნენ აღნიშნულ საქმეს?

კვლევის სიღმისეულად შესწავლისათვის, გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის ფენომენოლოგიური მიდგომა. მეეზოვეებთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ ბიოგრაფიულ-ნარატიულ ჭრილში. სიღრმისეული ინტერვიუს გზით, კვლევის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ესაუბრათ თავიანთ გამოცდილებებზე და გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულებები, აღქმები საკვლევ საკითხთან მიმართებით. კვლევა ჩატარდა თბილისსა და ქუთაისში მცხოვრებ მეეზოვეებთან და გამოყენებულ იქნა მიზნობრივი, არაალბათური შერჩევა, რადგან კვლევა ფოკუსირებული იყო საზოგადოების ერთი კონკრეტული სეგმენტის და პროფესიის, საქმიანობასა და მათ თვითაღქმაზე.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩატარდა 8 სიღრმისეული ინტერვიუ თბილისსა და ქუთაისში მცხოვრებ მეეზოვეებთან, რომლის ფარგლებშიც კვლევის სუბიექტები, დროში თანმიმდევრულად, ყვებიან ისტორიებს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით და აფიქსირებენ მათ შეხედულებებს და აღქმებს მეეზოვეობის, როგორც პროფესიის და ფენომენის მიმართ. უფრო კონკრეტულად, 3

ინტერვიუ ჩატარდა ქუთაისში მცხოვრებ მეეზოვესთან და 5 ინტერვიუ თბილისში მცხოვრებ მეეზოვესთან.

აღსანიშნავია ის, რომ რესპონდენტები ინტერვიუებში ყვებოდნენ თავიანთ, ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რაც არ ჰგავდა ერთმანეთს. ამრიგად, ამომწურავი პასუხების მისაღებად საჭირო გახდა, მათ, ინდივიდუალურ, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე უფრო მეტი სიღრმისეული კითხვების დასმა.

ამდენად, მონაცემთა მოპოვების მეთოდად გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუ და მონაცემები გაანალიზდა ბიოგრაფიულ-ნარატიულ ჭრილში. კვლევა დაეყდრნო თვისებრივი კვლევის ფენომენოლოგიურ მიდგომას და გაანალიზდა მეეზოვეობის, როგორც ფენომენის, აღქმა მეეზოვეთა მაგალითზე.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი თემატური ასპექტი და ამ ასპექტებში გამოვლინდა ძირითადი ტენდენციური შემთხვევები და მიგნებები, რომელიც წარმოდგენილია ინტერვიუების ანალიზის ეტაპზე. ინტერვიუების პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ციტატებისა და განცხადებების იდენტიფიცირების საშუალებით, ნარატიულად და სტრუქტურულად აღიწერა რესპონდენტების ცხოვრებისეული გამოცდილებები. ამასთან, მეეზოვეობის ფენომენი წარმოდგენილ იქნა კომპოზიციურად, სიტუაციურად და თავად რესპონდენტების ცხოვრებისეულ გამოცდილებებზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგები

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი თემატური ასპექტი და ამ ასპექტებში გამოვლინდა ძირითადი ტენდენციური შემთხვევები და მიგნებები, რომელიც წარმოდგენილი იქნება ინტერვიუების ანალიზის ეტაპზე.

მეეზოვეობის ფენომენის აღქმა მეეზოვეების პერსპექტივიდან

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემატურ ასპექტს წამოადგენდა იმის გაგება, თუ რას ნიშნავდა მეეზოვეობის ფენომენი კვლევაში მონაწილე რესპონდენტებისთვის. აღნიშნული თემატური ასპექტი კვლევის მთავარ კითხვას- რას ნიშნავს მეეზოვეობის ფენომენი მეეზოვეებისთვის- სცემს პასუხს. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე შეხედულება ამ თემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მეეზოვეობის ფენომენი შესაძლოა მივიჩნიოთ როგორც სოციალურად კონსტრუირებული, რომელშიც მეეზოვეები განსხვავებულ მნიშვნელობებს დებენ. უფრო კონკრეტულად, მეეზოვეების თვითაღქმის საფუძველზე ვლინდება, რომ მათ აქვთ განსხვავებული აღქმები, ასოციაციები და შეხედულებები მეეზოვეობის ფენომენის მიმართ, რომელიც მათივე საუბრიდან გამომდინარე, სოციალური რეალობითა არის განპირობებული. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობისთვის მეეზოვეობის ფენომენი არის საზოგადოებაში ბოლომდე ვერგადალახული სტერეოტიპული დამოკიდებულება, რომელიც ადრე მენაგვეობასთან იყო

ასოცირებული და ნეგატიურ კონოტაციას შეიცავდა. მათი აზრით, მეეზოვეობა აღარაა სათაკილო საქმე, თუმცა ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ სხვა პროფესიის (მცხობელი, მიმტანი, მძღოლი, მეხანძრე) ადამიანების საქმიანობის აღწერისგან განსხვავებით, მეეზოვეობის საქმიანობის აღსაწერად და მისი მნიშვნელოვნების საჩვენებლად, კიდევ სხვა სიტყვების დამატებაა საჭირო. ამდენად, სწორედ ამიტომაა, რომ საზოგადოებრივი მეხსიერების გამო, მათივე აზრით, დღემდე ამ პროფესიის ადამიანებს, არ აფასებენ და ერიდებიან აქ მუშაობის დაწყებას. მეტიც, რესპონდენტებთან საუბარში იკვეთება, რომ სწორედ საზოგადოებრივი მეხსიერების გამო, მეეზოვეების შრომა გამოყოფდა და განაცალკევებდა მეეზოვეებს ყველა სხვა პროფესიის ადამიანებისგან, რაც იწვევდა მათი შრომის არსის ბოლომდე ვერ გაგებას და მისი მნიშვნელოვნების ვერ გააზრებას.

,,მეეზოვეც ისეთივე მნიშვნელოვანი ადამიანია, როგორც მაგალითად, ქალაქს რომ ყავს მეხანძრე, პოლიციელი, მცხობელი, თუმცა ჩვენი საქმიანობის აღსაწერად კიდევ სიტყვების დამატებაა საჭირო, რომ ვთქვათ რაოდენ მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ.

ჩვენ, თუ იმაზე ვიფიქრებთ, რომ სახელმწიფოში, თუ ადგილობრივი თვითმართველობის დონეზე დაფასებული პირობითად მხოლოდ მსახიობი ან მომღერალი გვყავდეს, რაღაცნაირი ქვეყანა გავხდებით, სრულიად დაცლილი შინაარსისგან. საქმე ისაა, რომ კულისებს მიღმა, ზედაპირის იქით, არიან ადამიანები, რომლებიც არ ჩანან, მაგრამ ძალიან ღირებულ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ და ქალაქი სწორედ ასეთი ადამიანების მხარზეა. შრომა ადამიანს უნდა აკეთილშობილებდეს და არა ყოფდეს-აცალკავებდეს". (მეეზოვე, ყოფილი პედაგოგი)

მეეზოვეთა მცირე ნაწილი მეეზოვეობის ფენომენს აიგივებს მოქალაქეობასთან და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრებასთან. რესპონდენტთა სწორედ ამ ნაწილისთვის მეეზოვედ მუშაობის მთავარი მიზეზი სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრებაა და იმის ჩვენებაა, თუ რა წვლილი შეაქვს მას, საკუთარი საქმით. სწორედ ამ ასპექტში, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მეეზოვეობას აქვს ამბივალენტური შინაარსი, რომელიც ,ერთ შემთხვევაში, განპირობებულია საზოგადოებისგან წამოსული აღქმების საფუძველზე დაშენებული წარმოდგენებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, პიროვნული, ინდივიდუალური, პასუხისმგებლობის გააზრების საფუძველზე, მეეზოვეების მიერ, თავიანთი საქმის მიმართ, შექმნილი დამოკიდებულებებით.

კვლევაში გამოიკვეთა ასევე განსხვავებული დამოკიდებულებები და აღქმები მეეზოვეობის ფენომენთან დაკავშირებით. რესპონდენტთა იმ ნაწილისთვის, ვისთვისაც მეეზოვედ მუშაობის მთავარ მიზეზს ფინანსური სისუსტე და გაჭირვება წარმოადგენდა, მათთვის მეეზოვეობა ასოცირდება იმგვარ საქმესთან, რისთვისაც მათ უხდიან. იმ საქმესთან, რომელიც მათთვის არის მხოლოდ და მხოლოდ დამღლელი და ჯანმრთელობისთვის სარისკო.

,,ჩემთვის მეეზოვეობა არაფერთანაა დაკავშირებული, გარდა იმისა, რომ ამ საქმეში ფულს მიხდიან ფიზიკურად დაღლის შემდეგ. არ გვიფასდება რასაც ვაკეთებთ და მგონია, რომ მეეზოვეობა არდაფასებული შრომაა" (ეთნიკური უმცირესობის წევრი, მეეზოვე)

ამრიგად, აღნიშნული თემატური ასპექტების გამოყოფით განისაზღვრა ის დომინანტური თუ ნაკლებად ტენდენციური მოსაზრებები, შეხედულებები და გამოცდილებები, რომელიც რესპონდენტებს ჰქონდათ ამ თემებთან დაკავშირებით.

ანალიზის შემდეგ თავებში წარმოდგენილია ის თემატური ასპექტები, რომლებიც ავსებენ მეეზოვეობის ფენომენოლოგიურ დეფინიციას.

მეეზოვედ მუშაობის მიზეზები

კვლევის ერთ-ერთ თემატურ ასპექტს წარმოადგენდა მეეზოვედ მუშაობის მიზეზების იდენტიფიცირება- რატომ მუშაობდნენ კვლევაში მონაწილე რესპონდენტები მეეზოვედ, რა იყო ამის ძირითადი მიზეზი. აღსანიშნავია, რომ კვლევამ გამოკვეთა მეეზოვედ მუშაობის განსხვავებული მიზეზები. მათ შორის გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მიზეზი. მათ შორის აღსანიშნავია:

- ფინანსური სარგებლის მიღება
- სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრება
- სხვა სამსახურით ჩაუნაცვლებადობის ფაქტორი (იგულისხმება ის, რომ კვლევაში მონაწილე რამდენიმე რესპონდენტს სიტუაციურად შეუძლებელი იყო სხვა სამსახურში ემუშავა)

მეეზოვედ მუშაობის მიზეზთაგან დომინანტურად გამოიკვეთა ფინანსური მხარე. რესპონდენტების უმრავლესობამ მეეზოვედ მუშაობა სწორედ იმის გამო დაიწყო, რომ ფინანსურად ძალიან უჭირდა. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ისხენებენ ისტორიებს და ყვებიან, რომ ლუკმა-პურის საშოვნელად ყველანაირ შრომას ასრულებდნენ და ასრულებენ ახლაც. მეეზოვეობა კი მიუხედავად იმისა, რომ მათივე შეფასებით დაბალანაზღაურებადი საქმეა, ისინი ამას მაინც ასრულებენ. სირთულეების და ფიზიკური შრომის მიუხედავად, მზად იყვნენ მეეზოვედ ემუშავათ. ამ ასპექტში გამოიკვეთა ისიც, რომ მეეზოვედ მუშაობა ერთ-ერთი რესპონდენტისთვის წარმოადგენდა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, მიზნებისკენ მისაღწევ გზას, რომელიც დაკავშირებულია მისი შრომითვე სწავლის დაფინანსებასთან და ისეთი განათლების მიღებასთან, რაც მისცემდა სხვას მაგალითს იგივე სიტუაციაში.

,, ყველანაირ სამსახურზე ვიყავი თანახმა, ოღონდ ფული მეშოვნა და ოჯახი მერჩინა. ეს თუნდაც მეეზოვეობა ყოფილიყო. გითხარით კიდეც, რომ არ მაქვს განათლება მიღებული და ეს ჩემთვის პრობლემაა. მე იმ დროს, ყველანაირ ხელფასზე თანახმა ვიყავი. წავედი და დავიწყე მეეზოვედ მუშაობა. საწყისს ეტაპზე ძალიან გამიჭირდა, ხელები მისივდებოდა სიცივეში და ნაგვის ხელში დაჭერა მიჭირდა. მაგრამ მერე უკვე შევეგუე და მემარტივა კიდეც ეს საქმე". (მეეზოვე, ეთნიკური უმცირესობის წევრი)

,,ზოგადად ჩემს თავს ვხედავ სხვაგან, თუმცა იმ გზასთან რომ მივიდე, ეს გზა უნდა გავიარო. პირველ რიგში, რომ დავიფინანსო ჩემი სწავლა და სხვებს მივცე ჩემივე შრომითა და პასუხისმგებლობით მაგალითი" (მეეზოვე, სტუდენტი)

კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა უმცირესობა მეეზოვედ მუშაობის მიზეზთაგან სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრების ფაქტორს გამოკვეთს. მათივე შეფასებით, მეეზოვის, ან მსგავსი საქმის, შესრულებას ვერ შეძლებს ადამიანი, თუ მას გააზრებულად არ უნდა ამ საქმის გაკეთება. მეტიც, რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ თუ მეეზოვე ხარ, მაშინ სწორედ იმიტომ ხარ მეეზოვე, რომ გიყვარს შენი ქალაქი, გიყვარს ყოველი ის ქუჩა, რომელსაც ყოველ დილით ალაგებ და გიყვარს ის ადამიანები, რომელთაც ყველაზე ხშირად ხედავ ამ ქუჩებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეეზოვე სულ იქნება საკუთარ უკუღმართობაზე დამწუხრებული, გაბრაზებული და ამ ემოციებს შემდეგ უკვე გადაიტანს სხვაზეც. ამ ასპექტში გამოიკვეთა ისიც, რომ მეეზოვედ მუშაობა, რესპონდენტთა ნაწილისთვის, უპირველეს ყოვლისა, დაკავშრებულია არამხოლოდ პროფესიულ საქმიანობასთან (რაშიც ისინი ანაზღაურებას იღებენ), ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან, რითაც სხვებისთვის არიან მაგალითი, თუ რა წვლილი შეიძლება შევიტანოთ უკეთესი და სუფთა ქალაქისა თუ ქვეყნის არსებობაში. ამრიგად, გამოიკვეთა, რომ ის რესპონდენტები, რომელთა აღქმებშიც მეეზოვეობის ფენომენი დაკავშირებულია მოქალაქეობასთან, სწორედ ისინი ასახელებენ მეეზოვედ მუშაობის მიზეზთაგან სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრების ფაქტორს და ქალაქის სიყვარულს.

,,მე ვერ წარმომიდგენია როგორ უნდა იღებდე ნაგავს ხელით, ისე, რომ ქალაქი არ გიყვარდეს.კაბინეტში შეიძლება დაჯდე რაღაც ხელფასის გამო, როცა შესაძლოა იმ საქმის აზრზე არ იყო, თუმცა ამ საქმეს, როცა რამდენიმე საათი, სხვადასხვა სეზონზე, სხვადასხვა ვითარებებში აკეთებ, ამას ვერ გააკეთებ ქალაქის სიყვრულის გარეშე. რა თქმა უნდა არიან მეეზოვეები, რომლებიც საქმეს ქალაქის სიყვარულის გამო არ აკეთებენ. ისინი შესაძლოა სულ გაღიზიანებული იყვნენ ყველასა და ყველაფერზე. არიან მეეზოვეები, რომლებმაც თავიანთ საქმეში ვერ დაიჭირეს ვერანაირი დადებითი. საბოლოოდ კი, ვერანაირად ვერ იღებენ იმ შრომით სიამოვნებას, რასაც უნდა იღებდეს ადამიანი. მე, იმ ქალაქს ვასუფთავებ, რომელიც მიყვარს და პლუს ამაში ვიღებ ანაზღაურებას.".(მეეზოვე, თეატრალურის მსახიობი, ფოტოგრაფი)

მეეზოვედ მუშაობის მიზეზთაგან ყველაზე ნაკლებად გამოიკვეთა მისი სხვა საქმით ჩაუნაცვლებადობის საკითხი. უფრო კონკრეტულად, კვლევაში მონაწილეობდნენ რესპონდენტები, რომელთათვისაც სხვა საქმის შესრულება გამორიცხული იყო. ეს დაკავშირებული იყო კვლევაში მონაწილე პენსიონერ ქალბატონთან, რომელმაც 25 წელი იმუშავა პედაგოგად და აქტიური ცხოვრების შენარჩუნებისთვის მეეზოვედ დაიწყო მუშაობა. გამოიკვეთა ასევე უკრაინიდან ჩამოსული რესპონდენტის შემთხვევა ამ ასპექტში. ის აღნიშნავს, რომ როცა საქართველოში ჩამოვიდა ცოლ-შვილთან ერთად მალევე გაიაზრა, რომ სამსახურის გარეშე ვერ ,,გაიტანდა" თავს, თუმცა ერთადერთი ალტერნატივა მისთის მეგობრის მიერ შემოთავაზებული, დასუფთავების სამსახურში მუშაობა იყო. ამასთან, შესაბამისი განათლების არქონის გამო, სხვა, მისთვის უფრო შესაფერის სამსახურს, მისი აზრით, სხვაგან ვერ იშოვიდა.

,,15 წლის წინ დავიწყე მეეზოვედ მუშაობა, ბებო. თავიდან ძალიან მიჭირდა, საკმაოდ ასაკიანი ვარ ბებო, თქვენც ხომ ამჩნევთ(იცინის). ხალხი ახლაც მეუბნება, რა გაგიჭირდა ამხელა ოჯახის პატრონს,

ქუჩაში რომ დგახარო, მაგრამ მე ქუჩას ძალიან შევეგუე. აქტიური ადამიანი ვიყავი იქამდეც, პედაგოგად ვმუშაობდი და არ მინდოდა ჩემი სახლში დაჯდომით სხვებს ეფიქრათ, თინა ბებოს აღარაფერი შეუძლიაო. პენსიონერი ვარ და საჯარო სამსახურში, სწავლებას ვეღარ განვაგრძობდი, ამიტომ აქ დავიწყე მუშაობა". (მეეზოვე, ყოფილი პედაგოგი)

,, დასაწყისში არ იყო ფულის შოვნის სხვა გზა ჩემთვის. ოჯახში შვილი და მეუღლე მელოდებოდა, რომლებიც ომიდან წამოსვლის შემდეგ, კიდევ უფრო იმედგაცრუებულები იყვნენ და მე საკუთარ თავზე ავიღე მთელი პასუხისმგებლობა. ვერ ვიტყვი, რომ ცუდი გადაწყვეტილება მივიღე, თუმცა მგონია, რომ თუ სამუშაო პირობები გაუმჯობესდება, ბევრი დაიწყებს აქ მუშაობას"(მეეზოვე, უკრაინიდან)

ამრიგად, მეეზოვედ მუშაობის მიზეზების იდენტიფიცირებისას, ძირითად მიზეზად გამოვილნდა ფინანსური სარგებლის მიღების ფაქტორი, გაჭირვება და ლუკმა-პურის შოვნის მიზეზი.

მეეზოვის ერთი სამუშაო დღე

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები, სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში, ყვებოდნენ თავიანთ ისტორიებს მეეზოვეობასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვან საკითხს, ამ კუთხით, წარმოადგენდა მათი ერთი სამუშაო დღის აღწერა. გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა მეეზოვედ მუშაობის ერთი სამუშაო დღე, მეტ-ნაკლებად ჰგავს ერთმანეთს და მათივე შეფასებით, წარმოადგენს რუტინას, რომელიც იწყება დილის 7 საათიდან და გრძელდება შუადღის 3 საათამდე. რესპონდენტები დეტალურად და თანმიმდევრულად აღწერენ ერთ სამუშაო დღეს. ისინი, დილით, 7 საათზე, ფორმაში გამოწყობილები, შესაბამისი აღჭურვილობით მათთვის მიცემულ ლოკაციებზე გადიან და იწყებენ ქალაქის დალაგებას მაშინ, როცა თითქმის არავის ღვიძავს. რესპონდენტები ასევე ყვებიან ისტორიებს იმასთან დაკავშირებით, თუ ამინდის ცვლილების გამო, რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დგანან. ისინი წვიმაში, ქარში, პაპანაქება მზეში ალაგებენ ქუჩებს და ეგუებიან იმ ამინდს, რომელიც მათ სეზონის ცვილებასთან ერთად ხვდებათ.

,,დილით 7 საათზე უფრო ადრე ვიღვიძებ და ვემზადები. ვიცვამ ფორმას და გავდივარ გარეთ. ამინდზეა დამოკიდებული იმ დღეს როგორ მდგომარეობაში დავბრუნდები სახლში (სველი, შეცივებული თუ მზისგან დამწვარი). ფორმისა და სამუშაო იარაღის აღების შემდეგ გარეთ ძალიან დილიდან, ასე 7 საათისკენ მზად ვარ დავიწყო მუშაობა და ქალაქის დალაგება. მაშინ როცა ყველას ძინავს, ჩვენ უკვე დიდი ხანია გვღვიძავს და მეტიც საქმესაც ვასრულებთ მათ გაღვიძებამდე. თვითონ სამუშაო პროცესი არის დამღლელი. მთელი დღე ვმოძრაობ და ნაგავს ვაგროვებთ დილიდან. თან ქარიშხალში, წვიმაში, სიცხეში ერთი და იგივე სამუშაო ფორმით ძალიან რთულია ნაგვის აღება და მოგროვება". (უკრაინელი მეეზოვე)

კვლევაში ამ თემასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა ისიც, რომ ერთ-ერთ რესპონდენტს, რომელიც არის სტუდენტი, დასუფთავების სამსახური შრომის საათებს უმცირებს იმისთვის, რომ სწავლის

პროცესს არ ჩამორჩეს და ლექციები არ გააცდინოს. ამ თვალსაზრისით, მისი, როგორც მეეზოვის, ერთი სამუშაო დღე არ ჰგავს სხვებისას. უფრო კონკრეტულად, ის სხვა მეეზოვეების მსგავსად, დილით, 7 საათზე იწყებს მუშაობას, თუმცა ის არის ნაგვის მემანქანე, რომელიც უშუალოდ ნაგავს კი არ აგროვებს, არამედ ნაგვის ურნებს ათავისუფლებს და ნაგავი გადააქვს შესაბამის ლოკაციაზე. მისი სამუაოს სპეციფიკად გამომდინარე და დასუფთავების სამსახურის ხელშეწყობით, სამსახურს მალევე ასრულებს და სახლში ბრუნდება, რათა უნივესიტეტში წასასვლელად მოემზადოს.

,,მე შემეძლო დამეწყო მუშაობა მაღაზიაში კონსულტანტად, ბანკში ოპერატორად, მაგრამ უარი უნდა მეთქვა ჩემს ოცნებებზე. მეეზოვედ მუშაობა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მომესწრო ვარჯიში და სწავლა, რადგან ეს არის დილის საათებში და შემდეგ მთელი დღე თავისუფალი ვარ. თავისუფლად ვვარჯიშობ, ვსწავლობ და ეს სამუშაო მე ხელს არანაირად არ მიშლის. თან ამაში ხელს მიწყობს ხელმძღვანელობა და მადლობა მათ ამისთვის". (მეეზოვე, სტუდენტი)

მეეზოვეების მიერ საზოგადოების დამოკიდებულებათა შეფასება მათივე საქმიანობის მიმართ

კვლევაში ერთ-ერთ ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იმის იდენტიფიცირება, თუ რას ფიქრობდა საზოგადოება მეეზოვეთა საქმიანობაზე, თავად მეეზოვეების შეფასებების საფუძველზე. გამოიკვეთა ერთი დომინანტური შეხედულება ამ თემასთან დაკავშირებით. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ საზოგადოების დამოკიდებულება შეიცვალა მეეზოვეთა საქმიანობის მიმართ. თუ ადრე, მეეზოვედ მუშაობა ძალიან სათაკილო საქმე იყო, ახლა დასუფთავების სამსახურში ვხვდებით სხვადასხვა ასაკისა და განათლების მქონე ადამიანებს/ მეეზოვეებს. რესპონდენტები იხსენებენ ასევე ძველად, მეეზოვეების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებებზე და ადარებენ ამ უკანასკნელს დღეს არსებულ მდგომარეობასთან. ისინი აღნიშნავენ, რომ ძველად მეეზოვე ითვლებოდა, როგორც მენაგვე, რომელიც მხოლოდ ჭუჭყთან და ნაგავთან იყო ასოცირებული და მას საზოგადოებაში მიმღებლობა არ ჰქონდა. მეტიც, ისინი იხსნებენ იმასაც, რომ ადრე მეეზოვეები, საზოგადოების შეფასებით, იყვნენ ყველაზე ღარიბი სოციალური ფენა, რომელთა ჩაცმულობა, სახის მოყვანილობა და ქცევები საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო. დღეს, ასეთი დამოკიდებულება და შეხედულება მეეზოვეების მიმართ არ არსებობს. მეტიც გაიზარდა მიმღებლობა მათ მიმართ, რის ძირითად მიზეზადაც, მეეზოვეები ასახელებენ პროფესიის საზოგადოებაში ,,გათქვეფას" და მის დაუფლებას სხვადასხვა პროფესიის ადამიანში.

,,მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში ნაგავს მოქალაქეები ვყრით, ძალიან ბევრი გვგულშემატკივრობს და ეს ჩვენი შრომა სირცხვილად და ბულინგის საგნად აღარ ითვლება. წლების წინ ეს ცოტა მიუღებლად და სათაკილოდაც მიიჩნეოდა. (შენიშვნა: იგულისხმება მეეზოვედ მუშაობა). აი, მე მახსოვს, უწინ ისეთი სანაგვე მანქანები დადიოდა და ისეთი ადამიანები ალაგებდნენ ქუჩებს, რომ ამ სამსახურს საზოგადოებაში მიმღებლობა არ ჰქონდა. ეს ადამიანები რაღაცნაირად გამოიყურებდნენ და პატივისცემის ნაცვლად, შიშის განცდას უტოვებდნენ ადამიანებს. ახლა უკვე ახალგაზრდებიც

ჩაერთვნენ ამ საქმეში, ჩაერთვნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებიც, რომელთაც აქვთ განათლება მიღებული, თუმცა ამ საქმესაც ასრულებენ". (მეეზოვე, ფოტოგრაფი)

კვლევაში გამოიკვეთა ასევე, თავად მეეზოვეთა სამუშაო პროცესში საზოგადოების დამოკიდებულებებიც. მეეზოვეთა შეფასებით, მათი საქმიანობა არის ერთ-ერთი ძალიან კარგი დაკვირვების საშუალება საზოგადოების შეხედულებათა და დამოკიდებულებათა გასაგებად, როგორც მათ მიმართ, ისე ზოგადად. ქუჩაში, ადამიანები არიან ნამდვილები და ეს მათივე შეფასებით გამოიხატება იმ დამოკიდებულებებში რასაც ისინი ავლენენ, თუნდაც მეეზოვეებთან დამოკიდებულებაში და ამასთან, ნაგვის დაგდებაშიც კი. მათივე შეფასებით, პარადოქსია, როცა მეეზოვეების მიმართ საზოგადოება გამოხატავს ემპათიას, მადლიერების გრძნობას, თუმცა არ ერიდება ქუჩაში ნაგვის დაყრას. სწორედ ამიტომ ქუჩა აშიშვლებს (რესპონდენტთა სიტყვებით რომ ვთქვათ) საზოგადოების ქცევებს და მათ რეალურ ქმედებებს.

,,მე როცა, მეეზოვედ დავიწყე მუშაობა, ადამიანებზე სულ სხვა წარმოდგენა შემექმნა. უფრო სიღრმეებში, ქვემოთ რომ ჩავედი, დავინახე თუ როგორი ყოფილან ადამიანები რეალურად. როგორები არიან ერთმანეთთან ურთიერთობისას, თუნდაც ქუჩაში, ასევე ცხოველებთან ურთიერთობისას და მათ შორის, ჩვენთან, მეეზოვეებთან ურთიერთობისას. აი, მაგალითად წვიმაში როცა ვდგავართ და ქალაქს ვალაგებთ, ლაბადაში წყალი ჩადის, ამას მოქალაქეებიც ხედავენ და თანაგრძნობასაც გამოხატავენ, თუმცა შესაძლოა მეორე დღეს, ნაგავი ისე დააგდოს ქუჩაში, რომ ვერც კი გაიაზროს". (მეეზოვე, ფოტოგრაფი, მსახიობი)

მეეზოვეთა ოჯახის წევრების დამოკიდებულებები მეეზოვედ მუშაობასთან დაკავშირებით

კვლევის ერთ-ერთ თემატურ ნაწილს წარმოადგენდა თავად მეეზოვეთა ოჯახის წევრების დამოკიდებულება რესპონდენტების მეეზოვედ მუშაობასთან დაკავშირებით. ინტერვიუების მსვლელობისას, რესპონდენტები აქტიურად ამახვილებდნენ ყურადღებას ოჯახის ფაქტორზეც. ისინი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ მეეზოვედ მუშაობას სჭირდება მყარი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ოჯახის მხარდაჭერა. გამოიკვეთა, რომ რესპონდენტების ოჯახის წევრები ცდილობენ მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მათ, სამუშაოს შესასრულებლად და ფიზიკური დატვირთვის ფონზე, კიდევ უფრო არ დათრგუნონ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათთვისაც უმნიშვნელოვანესია ოჯახის გვერდში დგომა და გამხნევება, რადგან მეეზოვეობა რთული საქმეა, რომელიც ფსიქოლოგიურ სიმყარესაც მოითხოვს. ამ დროს, მნიშვნელოვანია ნებისმიერი ადამიანის და მით უფრო ოჯახის წევრის თითეული სიტყვა თუ ქმედება. ამ თვალსაზისით, რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, ასეთი სამუშაოს შემსრულებელსაც, აუცილებელია ადამიანებმა დაუტოვონ თავისი პირადი სივრცე და ზედმეტად არ ჩაერიონ მასში. მათივე შეფასებით, ოჯახის წევრების როლიც სწორედ აქ ვლინდება. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობას ოჯახის წევრების მხარდაჭერა ჰქონდა.

,,ძალიან პატივისცემით მიიღეს ჩემი გადაწყვეტილება და ოჯახის მხარდაჭერასაც ვგრძნობ. მე ამ საქმის გარდა, (იგულისხმება მეეზოვეობა), მრჩება დრო ჩემი საყვარელი საქმის გაკეთებისთვის. ოჯახის მხარდაჭერა კი ისაა, რომ როცა მე შუადღით სახლში ვბრუნდები დაღლილი, სეზონის მიხედვით, მაგალითად, მზეში თავი გაქვს გაწითლებული სიცხისგან, ან თოვლში გაყინული ვბრუნდები სახლში, ოჯახის წევრებს ჩემი ესმით. ის კი არაა, რომ ,,შემოსვლისას ვალინკები კარებთან დაყარე, ისე ნუ შემოხვალ", მათ ჩემი ესმით და ხელს მიწყობენ ყველანაირად". (ფოტოგრაფი, მეეზოვე)

აღნიშნული თემატური ასპექტი, წინამდებარე ლიტერატურული მასალის გაცნობისას, არც ერთ უცხოურ კვლევაში არ გამოყოფილა. მეტიც, წინამდებარე კვლევებში არა არის საუბარი ოჯახის როლზე, მეეზოვეთა საქმიანობის შესრულების ეფექტურობისა თუ არაეფექტურობის ასპექტში. გარდა ამისა, ეს საკითხი იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობამ თავად გაამახვილა ყურადღება ოჯახის როლზე, მათ გვერდში დგომასა და დახმარებაზე და სწორედ ამიტომ გახდა იგი უფრო მეტად ყურადსაღები.

ამრიგად, აღნიშნული თემატური ასპექტები აერთანებს კვლევის მთავარ ფოკუსს- მეეზოვეობის ფენომენის აღქმას მეეზოვეთა პერსპექტივიდან და სცემს პასუხს კვლევის მთავარ კითხვას- რას ნიშნავს იყო მეეზოვე მეეზოვეების აზრით. რესპონდენტთა პასუხები და მათი აღქმები აღნიშნულ ფენომენთან დაკავშირებით სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული, რაც ჩაშლილია ანალიზის თემატურ ასპექტებში. შეჯამების სახით, შესაძლოა ითქვას, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების აღქმები მეეზოვეობის ფენომენთან დაკავშირებით არ იყო მკვეთრად უცხო და განსხვავებული შინაარსის მატარებელი, რაც იქამდე, წინა თაობათა აღქმებში არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე ფორმით.

დისკურსიის ნაწილში, აღსანიშნავია, რომ მეეზოვეობის ფენომენის შესწავლა მეეზოვეების გამოცდილებების შესწავლის მაგალითზე, ღირებულია რამდენიმე მიმართულებით:

- აღნიშნული თემით დაინტერესება ქმნის მოტივს, რომ საქართველოში ამ მიმართულებით, აკადემიური ცოდნის დაგროვების პერსპექტივა შეიქმნას, რადგან საქართველოში, ფაქტობრივად, ვერ ვნახავთ ამ თემით დაინტერესებული მკვლევრების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ინტერესთა ჯგუფების მიერ მომზადებულ სტატიებს, ვლოგებს, კვლევებსა თუ კვლევის ანგარიშებს. ვფიქრობ, რომ აღნიშნული თემით დაინტერესების მთავარი მიზეზიდან გამომდინარე, ეს კვლევა და კვლევის მიგნებები თუ გახდება აუდიტორიის გარკვეული ნაწილისთვის ხელმისაწვდომი, ეს უკანასკნელი ძალიან ბევრ რამეზე დააფიქრებთ მათ, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და პოლიტიკის შემქმნელებს (policy makers);
- მეეზოვეობის ფენომენის შესწავლა ქმნის შესაძლებლობას, რომ სხვა, მსგავსი პროფესიის მქონე ადამიანების პროფესიის მიმართ შეხედულებებით დაინტერესდეს ფართო

აუდიტორია. (მაგალითად: მეხანძრეები, მიმტანები, დაცვის თანამშრომლები, რომელთაც გარეთ უწევთ დგომა, ნაგვის მემანქანეები და სხვა);

- მეეზოვეთა პროფესიის აღქმის შესწავლა, შესაძლოა დაეხმაროს პოლიტიკის შემქმნელებს და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს აღნიშნული საქმიანობის პოპულარიზაციის გაზრდის, მისით დაინტერესების და სამუშაო პირობების გაუმჯობესების (როგორც კვლევიდან იკვეთება, კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ამ საქმიანობის ყველაზე ცუდ მხარედ ასახელებენ ცუდ სამუშაო პირობებს, არასათანადო აღჭურვილობასა და დაბალ ხელფასს) თვალსაზრისით. მეტიც, ეს მეეზოვეთა საქმიანობის მიმართ საზოგადოებაში ღრმად ჩარჩენილი დამოკიდებულებების შეცვლასაც შეუწყობს ხელს და საზოგადოებასა და სამუშაო ძალის ამ სეგმენტს (მეეზოვეებს) შორის ინტეგრაციასაც გაზრდის.

დასკვნა

მოცემული კვლევა, სამომავლოდ შესაძლოა აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი რესურსი მეეზოვეების დამოკიდებულებათა და აღქმების შესწავლის მაგალითზე, მეეზოვეობის ფენომენის არსის გასაგებად.

კვლევის მიზანი იყო მეეზოვეეთა დამოკიდებულებებისა და აღქმების იდენტიფიცირება თავიანთი საქმიანობის მიმართ- რას ნიშნავდა მათთვის ყოფილიყვნენ მეეზოვეები.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მეეზოვეებს შორის მეეზოვეობის ფენომენის აღქმა განსხვავებულია, რაც ძირითადად განპირობებულია მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და განათლების დონით. ეს განსხვავებები თავიანთი პროფესიის მიმართ, ხშირ შემთხვევაში შემოიფარგლება ქალაქის სიყვარულით, ეკონომიკური ფაქტორით, სხვა ალტერნატივის არარსებობით და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ მეეზოვეთა მიერ დაგროვებული განსხვავებული სამუშაო გამოცდილებები მათ შეხედულებებს შორის განსხვავების მთავარი მიზეზიცაა, რადგან მათ პირადი გამოცდილებები ალაპარაკებთ, აიძულებთ, ავალდებულებთ ასრულებდნენ ამ საქმეს და ჩართული იყვნენ ქალაქის დასუფთავების პროცესში. კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნება ისიც არის, რომ როცა მეეზოვეები მეეზოვეობის ფენომენს განმარტავენ, ისინი ჯერ სამუშაოს შესრულებისას არსებულ პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას და შემდეგ ამ სამუშაოს შესრულების მიზეზებს ხსნიან. (რატომ არიან მეეზოვეები, რატომ არიან ჩართული ამ საქმეში). სწორედ აქ იკვეთება ის პრობლემები, რომელთა მოგვარებაც, მათი დიდი სურვილია. უპირველეს ყოვლისა, ის გამოწვევები, რომლის წინაშეც მეეზოვეები დგანან და რომელთა იდენტიფიცირებასაც ისინი ახდენენ, შეიძლება მოგვარდეს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინების გზით. პირველ რიგში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როგორც კერძო, ისე საჯარო უწყებებმა გარემოსდაცვით ერთ-ერთ მთავარ პრეროგატივად გამოაცხადონ მეეზოვეთა კმაყოფილების კვლევა. ვინაიდან, ნარჩენების გატანას და დასუფთავებაში მეეზოვეები აქტიურად არიან ჩართული, მთელი რიგი ღონისძიებები

უნდა ჩატარდეს მათი დახმარებისა და გაძლიერებისთვის. (შესაძლოა დაიგეგმოს საინფორმაციო შეხვედრები, მეეზოვეთა მონაწილეობით, გარემოს ზრუნვაზე, ქუჩების სისუფთავის შენარჩუნებასა და ნაგვის გადაყრაზე). გარდა ამისა, ვინაიდან მეეზოვეები ჯანმრთელობისთვის საშიშ საქმიანობას ასრულებენ (ძირითადად ხელით უწევთ ნაგვის შეგროვება), ვფიქრობ, რომ მათ წელიწადში რამდენჯერმე უნდა შეეძლოთ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის დიაგნოსტირება და ეს სერვისი მათ უფასოდ უნდა შესთავაზოს სახელწიფომ. ამრიგად, კვლევამ გამოკვეთა მეეზოვეთა წინაშე მდგარი გამოწვევები, რომელთა მოგვარებაზე ფიქრი და შემდეგ ქმედება უმნიშვნელოვანესია ჩვენივე საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

ბიბლიოგრაფია

ურიდია ლ. (2023) *მეეზოვეს ისტორია ქობულეთიდან, ბოლო ნახვა:27.03.2023* https://ajaratv.ge/article/111675

alba(2023) *specialist concepts for street cleaning-keeping the streets free of refuse and hazards,* retrieved june 1st from:

https://www.alba.info/en/business-areas/waste-management/local-authorities/street-cleaning/

babbie, the practice of social research (2010), chapman university. თავი 2, გვ. 32 – 59

collin, a. (1998). new challenges in the study of career. personnel review, 27(5), 412-425.

cresswell & cresswell, research design- qualitative, quantitative, and mixed methods approaches (2018), department of family medicine university of michigan, department of psychology carnegie mellon university. თავი 9, გვ. 254-277

diagne, n. a. (2019). (rep.). *health, safety and dignity of sanitation workers*. washington, usa: international bank for reconstruction and development.____https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---sector/documents/publication/wcms_728054.pdf

dailiati, s., irawati, i., & marlinda, p. (2020). environmental cleaning control policy: analyzing cleanliness and gardening control in pekanbaru, indonesia. *iop conference series: earth and environmental science*, *469*(1), 012112. https://doi.org/10.1088/1755-1315/469/1/012112

formulanews.ge,(2022) *დევი მეზურნიშვილი: სამივე ბავშვი უვონოდ იყო, ორის გამოყვანა შევძელი, სადამდეც გამიძლო ორგანიზმმა. ბოლოს ნახვა 02.18.2023*

https://formulanews.ge/news/%e1%83%93%e1%83%94%e1%83%95%e1%83%98_%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%96%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%95%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98:_3-%e1%83%95%e1%83%94_%e1%83%91%e1%83%90%e1%83%95%e1%83%a8%e1%83%95%e1%83%98_%e1%83%a3%e1%83%92%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%9d%e1%83%93_%e1%83%98%e1%83%a7%e1%83%9d,_%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a1_%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a7%e1%83%95%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%90_%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%95%e1%83%ab%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%98,_%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%93%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%93%e1%83%94%e1%83%aa_%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%ab%e1%83%9a%e1%83%9d_%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%96%e1%83%9b%e1%83%9b%e1%83%90/78610?fbclid=iwar3suecpli6awqfxcvwe8j_kp5nocik_b-sbujnqiqryjw97ztxytcvqxis

glenne b. lagura, victoria o. ligan (2018) what is life for job order street sweepers in the city governments of davao region? a phenomenological study. international journal of management excellence, volume 11 no.1. https://techmindresearch.org/index.php/ijme/article/view/991/607

hall, d. t., & chandler, d. e. (2005). psychological success: when the career is a calling. journal of organizational behavior, 26, 155- 176. doi: 10.1002/job.301

hall, d. t., & mirvis, p. h. (1996). the new protean career: psychological success and the path with a heart. in d. t. hall & associates (eds.), the career is dead: long live the career. a relational approach to careers. (pp. 15-45). san francisco: jossey bass.

kabir, a., farhana, n., akter, f., jesmin, s., & ali a. (2015). sweeping practices, perceptions and knowledge about occupational safety and health hazards of street sweepers in dhaka city, bangladesh: a qualitative inquiry. retrieved april 6, 2023 from www.ijcmph.com/index.php/ijcmph/article/download/959/828

markova, e. (2012) *who sweeps the street? why the bulgarian sweepers are vulnerable and privileged to be employed? (qualitative empirical evidences about the phenomenon: low paid job, low social status and relatively high job satisfaction),* centre for social survey research *https://sofia2012qualityofworkconference.files.wordpress.com/2012/09/markova_who-sweeps-the-street.pdf*

mcfarland a, (2018) understanding motivations for gardening using a qualitative general inductive approach https://www.researchgate.net/publication/326049368_understanding_motivations_for_gardening_using_a_qualitative_general_inductive_approach

minority rights group international, (2023).*burakumin (buraku people).* retrieved june 1st, 2023 from https://minorityrights.org/minorities/burakumin-buraku-people/?fbclid=iwar3xwnqbt8eod7hkr084uwshkvaqlup1dxnddz1czwmkowyq3fym-m6lpi0

olson, g. and schober, b. (1992). 'the satisfied poor. development of an interventionoriented theoretical framework to explain satisfaction with a life in poverty'. social indicators research, 28, 173-193.

open space institute annual report (2008). retrieved april 6, 2023 from https://www.pca.state.mn.us/sites/default/files/w-sw4-55.pdf

pacific northwest pollution prevention resource center (2017).emerging best management practices in storm water: street and surface sweeping to reduce storm water pollution. retrieved april 6, 2023 from http://www.pprc.org

robes, f. (2016). house bill no. 3434 . an act instituting policies for the protection and welfare of cleaning workers such as street sweepers and garbage collectors

sabde, y., & zodpey,s. (2008).a study of morbidity pattern in street sweepers: a cross-sectional study.retrieved april 6, 2023 from indian journal of community medicine from https://www.ncbi.nlm.nih.gov/

tomova, i. (1998). ethnic dimensions of poverty in bulgaria. social assessment of bulgaria by the social development team. europe and central asia region. the world bank. available at:

http://siteresources.worldbank.org/extgldevlearn/resources/ilonatomova.pdf

van kampen, v., hoffmeyer, f., seifert, c., brüning, t., & bünger, j. (2020). occupational health hazards of street cleaners – a literature review considering prevention practices at the workplace. *international journal of occupational medicine and environmental health*, *33*(6), 701–732. https://doi.org/10.13075/ijomeh.1896.01576

weber, m. (2007). the religion of india: the sociology of hinduism and buddhism (rev.ed.). munshiram manoharlal publishers pvt. ltd